



საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს ინფორმაციის საჯაროობის 2025 წლის ანგარიში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) ინფორმაციის საჯაროობის 2025 წლის ანგარიშს. საანგარიშო პერიოდი მოიცავს სააგენტოს შექმნიდან - 2025 წლის 15 აპრილიდან 2025 წლის 10 დეკემბერს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

სააგენტოში 2025 წლის 15 აპრილიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, სულ შემოვიდა **10 განცხადება**.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სააგენტოში შემოსული 10 განცხადებიდან, ინფორმაცია გაიცა **9 შემთხვევაში**. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვასა და ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილება მიღებულია სააგენტოს თავმჯდომარის - თამარ ზოდელავას მიერ.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სააგენტოში მოთხოვნა არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის საფუძველი

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის ერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მოთხოვნის მომენტისთვის განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი სახით დამუშავებული ინფორმაციის სააგენტოში არ არსებობის საფუძველით. აღნიშნული ეხებოდა მიმდინარე პროცესს, რომელიც მოთხოვნის მიღების მომენტში დასრულებული არ იყო.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

სააგენტო პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაცემისას ხელმძღვანელობს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მის მიერ მუშავდება, მასთან დაცულია, ინახება და მესამე პირებზე გაიცემა პერსონალური მონაცემები, ზემოაღნიშნული საკანონდებლო აქტებით დადგენილ ფარგლებში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა

საანგარიშო პერიოდში შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით, თანამშრომლების მხრიდან არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძველით დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები;